იმ შემთხვევაში, თუ თქვენ და თქვენი კონტრაქტორი (ან არსებულ დავაში, დავის მხარეები) უკვე შეთანხმდით, რომ თქვენს შორის არსებული შესაძლო სადაო საკითხი განიხილოს კერძო მუდმივმოქმედმა არბიტრაჟმა, გაძლევთ რეკომენდაციას, იხელმძღვანელოთ შემდეგი საარბიტრაჟო შეთანხმების ნიმუშით:

<u>საარბიტრაჟო შეთანხმება:</u>

1.) ხელშეკრულების (ან დავის) მხარეები ვთანხმდებით, რომ დავის ნებისმიერ ეტაპზე, ჩვენს შორის შესაძლოდ წარმოშობილი (არსებული) ნებისმიერი სახის დავის განხილვის მიზნით, ნებისმიერი მხარე უფლებამოსილია მიმართოს მხოლოდ შ.პ.ს. „PAEL Georgia"-ს მუდმივმოქმედ კერძო არბიტრაჟს (მის.: ქ. თბილისი, ა. წერეთლის გამზ. 112 / ს.კ.: 401962710).

2.) შ.პ.ს. „PAEL Georgia" ნებისმიერ სადავო საკითხს განიხილავს, მისივე დებულების (www.myadvocate.ge/arbitraji) შესაბამისად, ერთი არბიტრის შემადგენლობით და ასევე, ზეპირი მოსმენის გარეშე, თუ დავის განმხილველი არბიტრაჟი მიიჩნევს, რომ მხარეებმა სრულად შეძლეს თავიანთი პოზიციების დაფიქსირება და საჭირო მტკიცებულებების წარმოდგენა.

3.) არბიტრაჟი უფლებამოსილია, ძირითად სადავო საკითხთან ერთად მიიღოს გადაწყვეტილება საპროცესო და მის ზედნადებ, ასევე, სააღსრულებო ხარჯებთან დაკავშირებით, რომელიც მხარეთა შეთანხმებით არის საბოლოო.

4.) დაინტერესებულ პირს უფლება აქვს არბიტრაჟში დავის დაწყებამდ ე, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოსაყენებლად (საერთო წესით) მიმართოს სასამართლოს დ მოითხოვოს სარჩელის უზრუნველყოფა არბიტრაჟის მიერ, სადავო საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულებამდე.

იმ შემთხვევაში, თუ თქვენ გსურთ, ნებისმიერი საარბიტრაჟო საქმის წარმოების ვადები მაქსიმალურად შეამციროთ და გადაწყვეტილება მიიღოთ დაჩქარებული წესით, რეკომენდირებულია ზემოთ მოცემულ საარბიტრაჟო შეთანხმების ტექსტს დაამატოთ ასევე, შეთანხმების მე-5 ნაწილი <u>(რომლის ჩაწერასაც არ გირჩევთ, თუ თქვენს შორის შესაძლო სადავო საკითხი აღემატება 2000 (ორიათას) ლარს)</u>:

5.) დასახელებული არბიტრაჟი დავას განიხილავს დაჩქარებული წესით და თითოეული საპროცესო მოქმედების მაქსიმალური ვადა, მხარეთა შეთანხმებით არის, `არბიტრაჟის შესახებ~ კანონით, შესაბამისი საპროცესო მოქმედებისათვის დადგენილი, მაქსიმალური ვადის ნახევარი.

<u>გაითვალისწინეთ,</u> რომ `არბიტრაჟის შესახებ~ კანინის თანახმად, საარბიტრაჟო შეთანხმება ხელმოწერილ უნდა იყოს ხელშეკრულების (ან დავის) მხარეთა და:

- **იმავე მხარეთა ადვოკატების მიერ, თუ საარბიტრაჟო შეთანხმება შედგენილია ფიზიკურ პირებს შორის;**
- **ან დამოწმებული უნდა იყოს ფირმის ოფიციალური ბეჭდით, თუ დავის ერთი მხარე მაინც იურიდიული პირი არის.**

საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობა, ყველა შემთხვევაში უდავო არის, თუ მასზე ხელმოწერის ნამდვილობა დამოწმებულია ნოტარიუსის მიერ.